სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

კონკურსის „სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმების წარმოების დაფინანსება“ ფარგლებში საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) წევრთა შერჩევის პროცესის შესახებ

ოქმი №1

ქ. თბილისი **13 ივნისი 2024 წელი**

1. საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) წევრთა შერჩევის პროცედურას ესწრებოდნენ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომ - ეროვნული კინოცენტრი) შემდეგი თანამშრომლები:

ა) **თამარ აბაშიძე** - იურისტი.

ბ) **თეონა ხელაძე** - შტატგარეშე თანამშრომელი.

2. დღის წესრიგი:

ეროვნული კინოცენტრის დირექტორის 2024 წლის 14 მაისის №117 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის „სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმების წარმოების დაფინანსება“ ფარგლებში საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) წევრთა შერჩევა.

3. ზოგადი ინფორმაცია:

3.1. საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) წევრების შერჩევის პროცესი წარიმართა კინოცენტრში საჯაროდ და გადაიცა მიმდინარე რეჟიმში (ლაივსტრიმით), ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ამასთანავე, შერჩევის პროცესი იწერებოდა ვიდეოჩანაწერის სახით, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ოქმს (CD დისკი).

3.2. როგორც მიმდინარე რეჟიმში (ლაივსტრიმით) გადაცემისას, ისე პროცესის ამსახველ ჩანაწერში ხილული იყო შერჩევის პროცესი, კერძოდ, გამჭვირვალე ყუთში თეონა ხელაძის მიერ დებულების შესაბამისად თავდაპირველად მოთავსებულ იქნა სავალდებულო პროფესიების მქონე 3 ანიმატორი (ფურცელზე დატანილი შემდეგი ინფორმაციით: რიგითი ნომერი, სახელი გვარი, პროფესია) - საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული 2 სავალდებულო პროფესიის მქონე - ანიმატორის შერჩევის მიზნით.

3.3. საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის სავალდებულო პროფესიის მქონე წევრების შერჩევის შემდგომ გამჭვირვალე ყუთში მოთავსებულ იქნა დანარჩენი მონაცემთა ბაზის თითოეული წევრი ფურცელზე დატანილი შემდეგი ინფორმაციით: რიგითი ნომერი, სახელი გვარი, პროფესია.

3.4. საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) წევრები შეირჩა შემთხვევითობის პრინციპით, 5 წევრის შევსებამდე, შემდეგი შემადგენლობით:

1. **ანა ჩუბინიძე** - ანიმაციის რეჟისორი;

2. **დიმიტრი ბუთლიაშვილი** - ანიმატორი;

3. **გიორგი კაკაბაძე** - კინორეჟისორი;

4. **გორგასლან ხაინდრავა** - კინოოპერატორი;

5. **გიორგი პიპინაშვილი** - მსახიობი.

ხოლო შემდეგ შეირჩა 2 სათადარიგო წევრი:

1. გიორგი გურგულია - მსახიობი;

2. ერეკლე ტრიპოლსკი - კინორეჟისორი.

ოქმს აფორმებს ეროვნული კინოცენტრის უფლებამოსილი თანამშრომელი:

იურისტი

თამარ აბაშიძე

_____